- შეფასება იმისა მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ; და
- მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის ჩართვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

გავლენის შეფასება

კომპანია მიიჩნევს, რომ გაუფასურების ზარალი სავარაუდოდ გაიზრდება და გახდება უფრო მერყევი აქტივებისათვის ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში. კომპანიას მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია ჯერ სრულად არ ჩამოუყალიბებია.

(iii) კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

თუმცა, ბასს 39-ის ფარგლებში, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებების ყველა ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მაშინ როდესაც ფასს 9-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ეს ცვლილებები ზოგადად შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების ოდენობა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას უკავშირდება, აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში; და
- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების დარჩენილი ოდენობა წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას არ განუსაზღვრავს რაიმე ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და ამჟამად არ აქვს მსგავსი განზრახვა. კომპანიის შეფასება არ მიუთითებს რაიმე სახის არსებით გავლენაზე ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის.

(iv) ახსნა-განმარტებები

ფასს 9 მოითხოვს უფრო დეტალურ ახალ განმარტებით შენიშვნებს, კერძოდ კი საკრედიტო რისკთან და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით. კომპანიის შეფასება მოიცავს ანალიზს მონაცემების ინტერვალების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში და კომპანია გეგმავს სისტემისა და საკონტროლო მექანიზმების ცვლილებების განხორციელებას, რომელიც, მისი აზრით, საჭირო იქნება მოთხოვნილი მონაცემების ასახვის მიზნით.

(v) გადასვლა

ფასს 9-ის მიღებასთან დაკავშირებული ცვლილებები საადრიცხო პოლიტიკაში, როგორც წესი გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად 2023 წლის 1 იანვრიდან, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა:

- კომპანია გამოიყენებს გათავისუფლების შესაძლებლობას, რომელიც აძლევს საშუალებას არ გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია წინა პერიოდებისთვის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან (გაუფასურების ჩათვლით) მიმართებაში. ფასს 9 -ის მიღების შედეგად გამოწვეული სხვაობები ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში, ზოგადად აღიარდება როგორც გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები ფასს 9-ზე გადასვლისას, როდესაც აღნიშნული გახდება სავალდებულო.
- შემდეგი შეფასებები უნდა გაკეთდეს იმ ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობს თავდაპირველ გამოყენების თარიღისთვის:

- იმ ბიზნეს მოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ფლობილია ფინანსური აქტივი.

- სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული კონკრეტული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების წინა განსაზღვრებების გაუქმება და ხელახლა განსაზღვრა;
- კონკრეტული ინვესტიციების განსაზღვრა წილობრივი ინსტრუმენტების სახით, რომლებიც არ არის სავაჭროდ ფლობილი და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც ფასდება ბასს 39-ის ფარგლებში ამორტიზირებული ღირებულებით აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

• სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (ფასს 16-ის კორექტირება).
- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 წლების ციკლი;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- სააღრიცხვო პოლიტიკების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (ბასს 1 -ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის კორექტირებები).
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის კორექტირებები).
- ერთი გარიგების შედეგად წარმოშობილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ბასს 12-ის კორექტირებები).



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"

ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/1/091/22

ბოჭორიშვილის ქ. №88/15.

27/09/2022

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2022 წლის 27 სექტემბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2022 წლის 27 სექტემბრით, გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2022 წლის 17 მარტს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2022 წლის 17 მარტის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,


ირინა გევორგიანი

აუდიტის პარტნიორი

შპს „KPMG Georgia“

მმართველობის
ანგარიში

2021



წიგანსიძეყვამბა



„ირაო“ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 2004 წელს გამოჩნდა და სტაბილურად ინარჩუნებს ერთ-ერთ მონინავე პოზიციას. იგი დღემდე ერთადერთი კომპანიაა ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე, რომელსაც 100%-ით ფლობს „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“. ავსტრიისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ამ წამყვანმა სადაზღვევო კომპანიამ „ირაოს“ მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ 2007 წელს გამოხატა და ირაოს წილის 90% შეიძინა, ხოლო 2011 წელს აქციების 100%-ს მფლობელი გახდა.



ჩვენი მიზანია, რომ მომხმარებლებს მივაწოდოთ ისეთი სერვისი და დაფარვები, როგორიც ქვეყნარტ ევროპულ კომპანიას შეესაბამება.



ვანტანგ დეკანოსიძე

გენერალური დირექტორი

„ირაოს“ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ევროპული გამოცდილებისა კულტურის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. 18-წლიანი გამოცდილება და ცოდნა კომპანიას აძლევს საშუალებას ბოლო პერიოდში განვითარებული გლობალური მოვლენების პირობებშიც კი შეინარჩუნოს ევროპული სტანდარტი და ხარისხი. „ირაოს“ განვითარების სტრატეგია და საქმისადმი მიდგომა „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ მიერ შექმნილ სტანდარტებს ეფუძნება, რაც ჩვენი მომხმარებლებისა და პარტნიორებისთვის საიმედო და სტაბილურ საყრდენს წარმოადგენს. ჩვენს კომპანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რისკების სწორად მართვას, რაც, ზოგადად, სადაზღვევო სფეროსთვის დიდი გამოწვევაა. რისკების მართვის თვალსაზრისით „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ საერთაშორისო გამოცდილება ძალიან გვეხმარება, შედეგად, „ირაოს“ კორპორაციული მართვის სისტემა გამართული და ეფექტიანია.

პანდემიის არაერთი ტალღის მიუხედავად, „ირაომ“ შეძლო მომხმარებლებისთვის სერვისი შეფერხებების გარეშე მიეწოდებინა. პანდემიის პიკის პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მომართვიანობა სადაზღვევო სერვისებზე, კომპანიის სერვისები, დაფარვები და ანაზღაურების პროცესები განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდა. თუმცა ეს გამოწვევაც წარმატებულად დავძლიეთ.


განსაკუთრებული მოთხოვნა და გამოყენება, პანდემიიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტებზე შეინიშნებოდა. კორპორაციულ ჯანმრთელობის დაზღვევასთან ერთად საგრძნობლად მოიმატა მოთხოვნა ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტზე „პულსი“, რომელსაც „ირაო“ 2020 წლიდან სთავაზობს მომხმარებლებს.

ციფრული მიმართულების გაძლიერება , წინა წლის მსგავსად 2021 წლის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იყო. 2021 წელს პანდემიამ საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნა დისტანციურ სერვისებზე. სწორედ 2021 წლის დასაწყისში ავამოქმედეთ მობილური აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ ისეთი მნიშვნელოვანი სერვისებით, როგორებიცაა ანაზღაურებისა და საგარანტიო წერილის დისტანციურად მოთხოვნა, პოლისის დეტალების ნახვა და თანხის გადახდა. ეს სერვისები მომხმარებლებს საგრძნობლად უზოგავს დროს და საკმაოდ ღირებულია მათთვის. ცხადია, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ და 2022 წელს ციფრულ სერვისებზე, როგორც აპლიკაციაზე, ასევე ვებზე ბევრი საჭირო და საინტერესო ფუნქციის დამატებასაც ვგეგმავთ. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მზარდია ონლაინსერვისების მომხმარებელთა რაოდენობა, რასაც სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს. გასულ წელთან შედარებით, „ირაოს“ ონლაინ პორტალის მომხმარებელთა რაოდენობა 2-ჯერ გაიზარდა. მობილური აპლიკაციის მოხმარებაც თვითონ თვემდე იზრდება და წლის დასაწყისთან შედარებით, ბოლო 6 თვის მაჩვენებლებით თითქმის 2,5-ჯერ არის გაზრდილი მისი მოხმარება. ჩვენი კომპანია ფოკუსირებულია, რომ დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი გადავიდეს ციფრულ მომსახურებაზე, ამისთვის კი ციფრულ სერვისებს მაქსიმალურად მოსახერხებელსა და მარტივს ვხდით.

„ირაო“ წლიდან წლამდე ცდილობს პროდუქტის და მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესებას და მომხმარებლისთვის უფრო მეტი ღირებულების შექმნას. ჩვენი მიზანია, რომ მომხმარებლებს მივაწოდოთ ისეთი სერვისი, როგორიც ქვეყნის ევროპულ კომპანიას შეესაბამება.

2022 წელს „ირაოს“ გუნდი კიდევ უფრო დიდი და ამბიციური გეგმებით ხვდება - მომხმარებლისთვის უფრო მეტად დახვეწილი და მათ პრიორიტეტებზე ორიენტირებული სერვისების შეთავაზება ისე, რომ მათ მნიშვნელოვნად გაუმარტივდეთ ყოველდღიური ცხოვრება და, რაც მთავარია, რეალურად დაიცვას ისინი ეკონომიკური რხევებისაგან.

ვახტანგ ღებანოსიძე
ბენეფიციარი დირექტორი

The image features a minimalist abstract design on a light gray background. A large, solid gray circle is positioned on the left side. To its right, a smaller circle is filled with a vibrant red color and a diagonal hatched pattern. Two thin, light gray curved lines arc across the composition, one above and one below the circles. The text 'ՈՆԺՈՒՐՆ' is centered within the gray circle in a white, sans-serif font.

ՈՆԺՈՒՐՆ



2004

დაარსდა შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“ და გაიხსნა პირველი სერვისცენტრი თბილისში.

2010

გაიხსნა სერვისცენტრი ქუთაისში.

2011

გაიხსნა სერვისცენტრი ბათუმში

2011

საავადმყოფოების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, „ირაომ“ ააშენა და სრულად აღჭურა 6 ობიექტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

2011

ამ წლამდე „ირაოს“ ძირითადი დამფუძნებელი იყო კომპანია T.B.I.H. Financial Service Group, შუალედური დამფუძნებელი კი „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“ (VIG).

2011

„ვენის სადაზღვევო ჯგუფი“ „ირაოს“ 100%-იანი წილის მფლობელი გახდა.

2015

„ირაომ“ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან (შპს) გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად (სს).

2019

კომპანიამ გააფართოვა რეგიონული წარმომადგენლობა და გახსნა ფილიალები ზუგდიდში, თელავში, ახალციხესა და მარნეულში.

2020

„ირაომ“ შექმნა და დანერგა ონლაინპორტალი, რომლის მეშვეობით სადაზღვევო პროდუქტების შეძენა და სერვისების მიღება ონლაინ გახდა შესაძლებელი.

მისია
ღირებულებები
ხედვა



მისია

ჩვენი მისიაა ხელი შევუწყოთ ფინანსურ დაცულობასა და სტაბილურობას; თქვენთან ერთად მუდმივად ვიზრუნოთ ცხოვრების გაუმართიანებასა და სიმშვიდეზე.



ხედვა


ჩვენ ვეძენით კომპანიას, რომელიც მაღალკოეფიციენტურ სადაზღვევო სერვისებითა და ურთიერთობის გამორჩეული სტილით, თქვენი ბრძოლვადიანი და სანდო პარტნიორია.



ჩვენი ღირებულებები 6 ძირითად კომპონენტს ემყარება:

- კოეფიციენტობა
- განვითარება
- სიძლიერე
- სტაბილურობა
- სანდოობა
- მრავალფეროვნება

„ირაო“ აცნობიერებს, რომ კომპანიისთვის სწორი მისიისა და ღირებულებების ჩამოყალიბება წარმატების საწინდარია, რადგან სწორედ ფასეულობები ქმნის ორგანიზაციულ კულტურას და ეხმარება კომპანიას ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავებაში. „ირაოსთვის“ უმნიშვნელოვანესია, რომ გუნდის თითოეული წევრი ხელმძღვანელობდეს საერთო ღირებულებათა სისტემით, იაზრებდეს კომპანიის მისიას და ეთანხმებოდეს მის ხედვას.



მფლობელები

66

„ირაოს“ აქციების 100%-იანი წილის მფლობელია „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“ (VIG)

„ირაოს“ აქციების 100%-იანი წილის მფლობელია „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“ (VIG).

ვენის სადაზღვევო ჯგუფი არის წამყვანი სადაზღვევო ჯგუფი, როგორც ავსტრიაში, ასევე მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) რეგიონში. ჯგუფი შედგება 50-მდე სადაზღვევო კომპანიისგან, 30 ქვეყანაში. ვენის სადაზღვევო ჯგუფის 25,000-ზე მეტი თანამშრომელი ზრუნავს 22 მილიონზე მეტი მომხმარებლის ყოველდღიურ საჭიროებაზე.

VIG-ის აქციები, ვენის საფონდო ბირჟაზე ირიცხება 1994 წლიდან. კომპანიას აქვს A+ რეიტინგი, საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო სააგენტო Standard & Poor's-ის მიერ, რაც ხაზს უსვამს მის სტაბილურობას. აგრეთვე, იგი ვენის საფონდო ბირჟის წამყვანი ინდექსით (ATX), საუკეთესო შეფასების მქონე კორპორაციაა. ვენის სადაზღვევო ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს Erste Group-თან, რომელიც არის უმსხვილესი საცალო ბანკი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

ვენის სადაზღვევო ჯგუფი ორსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. მისი წინაპარი კომპანია ჯერ კიდევ 1824 წელს დააარსდა და დროთა განმავლობაში აფართოვებდა მასშტაბებს. მისი სათავე ოფისი 1955 წლიდან მდებარეობს ვენაში, ავსტრიის პირველ თანამედროვე ცათამბჯენში, სახელწოდებით „რინგტურმი“.



VIG-ის მიერ 2021 წელს მოზიდული პრემია, 2020 წელთან შედარებით, გაიზარდა 5,5%-ით და მიაღწია 11 მილიარდ ევროს; წლიური მოგება კი 511,3 მილიონი ევროა, რაც 47,8%-ით მეტია გასული წლის შედეგზე.

„ვენის სადაზღვევო ჯგუფში“ კორპორაციული კულტურას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ჯგუფს 2018 წლიდან აქვს „საერთო მისიის განაცხადი“ :



ხედვა

ადგილობრივ ბაზარზე პირველობა ჩვენი ამბიციია. გვსურს, ვიყოთ წამყვანი სადაზღვევო ჯგუფი რეგიონში და სანდო პარტნიორი, რომელსაც ბაზარზე მყარად პოზიციონირებს.



მისია

ჩვენთვის პრიორიტეტულია სტაბილურობა და კომპეტენცია. ჩვენი პასუხისმგებლობაა დავიცვათ მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებები.



ღირებულებები:

- მრავალფეროვნება
- მომხმარებლებთან სიახლოვე
- პასუხისმგებლობა

კორპორაციული განაცხადი (სლოგანი):

ჩვენ მომხმარებლებს უსაფრთხო და უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობას ვაძლევთ. **ვიცავთ, რაც მნიშვნელოვანია.**

The page features a large, light gray circle centered on the page. Inside this circle is a smaller, solid gray circle. In the bottom-left corner, there is a red circle with a diagonal line pattern. The text is centered within the solid gray circle.

საქართველო საბჭოს წევრები

2021 წელს ცვლილება განიცადა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში. კერძოდ, 2021 წლის იანვრიდან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა დადგინდა ბიორგი კვირიკაძემ. ხოლო 2021 წლის ნოემბრიდან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას დაემატა **ვლადიმერ მრავი**.



სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

განისაზღვრა შემდგენილად:

- **გერალდ კლემენსიჩი** - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
- **ერვინ ნაზაროვი** - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
- **გერჰარდ ლანერი** - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- **ვლადიმერ მრავი** - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

გენეჯმენდ-ბორდის წევრები:

- **ვახტანგ დეკანოზიძე** - გენერალური დირექტორი
- **რამაზ ხვიჩია** - ფინანსური დირექტორი
- **ანდრო ხუხუნაიშვილი** - ბაყიდვების და მარკეტინგის დირექტორი
- **ილია ბაბუციძე** - სოცერაზიო დირექტორი
- **სოფო განიტაშვილი** - სამედიცინო დირექტორი
- **გუგა გვაგავა** - სანიტორმაგიო ტექნოლოგიების დირექტორი
- **ლიკა გელაშვილი** - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
- **ნათია მშვიდლობაძე** - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

წლის
მიმოხილვა

2021 წლის მდგომარეობით, „ირაოს“ დაზღვევით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეადგენდა 49 247-ს.

მთელი წლის განმავლობაში გაცემული სადაზღვევო პოლისების ჯამურმა რაოდენობამ კი თითქმის 1 მლნ-ს მიაღწია. კომპანია მუდამ ცდილობს შეინარჩუნოს ლოიალური კლიენტები, რასაც ადასტურებს გასული წლის სტატისტიკა. მაჩვენებლების მიხედვით, დაზღვეულთა 74%-მა 2021 წელს განაახლა „ირაოსთან“ თანამშრომლობა.

2021 წელს კომპანიის მიერ მოზიდული პრემია, 2020 წელთან შედარებით, 29%-ით გაიზარდა და 49 მლნ ლარი შეადგინა. „ირაომ“ წლის განმავლობაში 39.8 მლნ. ლარამდე ოდენობის ზარალი აანაზღაურა. „ირაოს“ აქტივების რაოდენობა კი 79 მლნ. ლარია.



პროდუქტები და სერვისები

ჩვენი კომპანიის პორტფელი თითქმის თანაბრად მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო პროდუქტებს. „ირაო“ კორპორაციულ და საცალო სეგმენტს სთავაზობს სადაზღვევო პროდუქტების ნაირსახეობას, მათ შორისაა: ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტოდაზღვევა, ქონების დაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, შინაური ცხოველების დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა და სხვა.



კორპორაციულ სეგმენტში „ირაოს“ წამყვანი პროდუქტი **სამედიცინო დაზღვევა** და 2021 წლის მოზიდული პრემიის **48%-ს** შეადგენს. კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევა მუდმივად განიცდის ცვლილებებს, რათა შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა. ჩვენ ვცდილობთ მომხმარებლებს გაუმჯობესებული პაკეტები და ხელსაყრელი პირობები შევთავაზოთ.

ავტოდაზღვევა „ირაოს“ საცალო სეგმენტის წამყვანი პროდუქტია და მას პორტფელის **21%** უჭირავს. კომპანია თითოეულ ავტომფლობელს ინდივიდუალურ პირობებს სთავაზობს.




ქონების დაზღვევა როგორც კორპორაციულ, ასევე საცალო სეგმენტში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პროდუქტია. მას კომპანიის პორტფელში **17%** წილი აქვს.



2021 წლიდან „ირაომ“ დანერგა ახალი პროდუქტი - შინაური ცხოველების დაზღვევა, რომელიც ინოვაციური იყო სადაზღვევო ბაზრისთვის. პოლისი - **„ერთგული მეგობარი“**, საწყის ეტაპზე გულისხმობს ძაღლების ჯანმრთელობის დაზღვევას, სამომავლოდ კი სხვა შინაური ცხოველების დამატებაც იგეგმება. პოლისის შეძენა შესაძლებელია როგორც ონლაინ, ასევე გაყიდვების მენეჯერის დახმარებით.

2021 წელს პროდუქტებისა და ციფრული სერვისების განვითარების მიმართულებით, რამდენიმე მიშვნელოვანი სიახლე გვაქვს:

- **სამოგზაურო დაზღვევის პოლისს** დაემატა **Covid 19** დაფარვა, რომელიც მოიცავს საზღვარგარეთ მოგზაურობისას კორონავირუსისგან გამოწვეული გართულებების ანაზღაურებას;
- **ბინისა და სახლის დაზღვევის** მსურველთათვის „ირაოს“ ბინის დაზღვევის პოლისის ყიდვა შესაძლებელია უკვე 200 კვადრატულამდე ბინებისა და სახლებისათვის, ნაცვლად 120 კვადრატულისა.
- **თანამშრომლობა საქართველოს ბანკთან** - საქართველოს ბანკი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ბანკის დახმარებით შეიძინონ ირაოს საცალო დაზღვევის პროდუქტები, ექსკლუზიური პირობებით. კერძოდ: ავტომფლობელთა მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა, ავტომობილის დაზღვევა ქონების დაზღვევა და შინაური ცხოველების დაზღვევა.
- **სესხების დაზღვევა** - საქართველოს წამყვან ბანკებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებში საქართველოს ბანკის, თიბისი ბანკის, ლიბერთი ბანკის და ბაზის ბანკის მსესხებლებს შესაძლებლობა აქვთ სესხის მიღებასთან ერთად შეიძინონ ირაოს ქონების, უმუშევრობის და სიცოცხლის დაზღვევის პოლისები.
- **პოლისის დისტანციურად შეძენის შესაძლებლობა** - გარდა პორტალზე: online.iraoo.ge არსებული ონლაინ პროდუქტებისა (სამოგზაურო დაზღვევა, სახლის დაზღვევა, შინაური ცხოველების დაზღვევა, ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევა), მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა სხვა საცალო პროდუქტებიც (ავტოდაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა) შეიძინონ დისტანციურად, მენეჯერის დახმარებით. მათთვის ვისთვისაც მნიშვნელოვანია კვალიფიციურ მენეჯერთან კონსულტაცია, შესაძლებლობა აქვთ დისტანციურად გაესაუბრონ მენეჯერს, გაეცნონ სადაზღვეო პოლისის პირობებს, დისტანციურად მოაწერონ ხელი და გადაიხადონ სადაზღვეო პრემია. გარდა ამისა, შესაძლებელია გადახდების ავტომატური სისტემის ფუნქციით სარგებლობაც.



მომხმარებელთა
მომსახურება

სერვისცენტრები

„ირაოს“ სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო რეგიონებში – 6 ფილიალით არის წარმოდგენილი: ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ახალციხეში, თელავსა და მარნეულში, შემდეგ მისამართებზე:

თბილისი (სათავო ოფისი) – ბოჭორიშვილის 88/15

ბათუმი – ძეგბი ზუბალაშვილების 31


ქუთაისი – წმინდა ნინოს 1/38

ახალციხე – თაბუკაშვილის 15

ზუგდიდი – მერაბ კოსტავას 64

თელავი – ა. ვარდოშვილის 22

მარნეული – გიორგაძის 1



ოჯახის ექიმების მომსახურება

ქვეყნის მასშტაბით კომპანია ემსახურება 49 247-მდე დაზღვეულ პირს 68 ლოკაციაზე. „ირაოს“ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია შესაძლებელი. 2021 წელს გაფართოვდა „ირაოს“ ოჯახის ექიმების დისლოკაციის ადგილები. 2021 წელს თბილისში პროვაიდერ კლინიკებს დაემატა კლინიკა „რეიმანი“, სადაც ამ ეტაპზე 5 ოჯახის ექიმია ხელმისაწვდომი. დღეისათვის ოჯახის ექიმების მომსახურების მიღება თბილისის მასშტაბით უკვე 9 მოწინავე კლინიკაშია შესაძლებელი: „რეიმანი“, „კურაციო“, „ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა“, „მედიქალ ჰაუსი“, „დავით ტატიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ (ვაკის, ისნის, პეკინის გამზირის, სანდრო ეულისა და მარიჯანის ქუჩების ფილიალები).

„ირაოს“ ოჯახის ექიმის სერვისით სარგებლობა, თბილისის გარდა, შესაძლებელია ქუთაისში, ბათუმში, გორში, რუსთავში, თელავსა და ფოთში. 2021 წელს ბათუმში დაგეგმვათ ახალი ლოკაცია - დავით ტატიშვილის კლინიკის ბათუმის ფილიალი.

სამედიცინო მომსახურების მიღება დაზღვეულებს შეუძლიათ არა მხოლოდ კომპანიის ოჯახის ექიმთან, არამედ „ირაოს“ პარტნიორ კლინიკებშიც. სამედიცინო მომსახურების მიღება „ირაოს“ დაზღვეულებისთვის საქართველოს მასშტაბით 53 რაიონშია შესაძლებელი, ესენია: ქუთაისი, საჩხერე, ტყიბული, ზესტაფონი, წყალტუბო, ქიათურა, სამტრედია, თერჯოლა, ხარაგაული, ვანი, ხონი, ბათუმი, ქობულეთი, ქედა, შუახევი, ხულო, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ოზურგეთი, თელავი, საგარეჯო, გურჯაანი, ლაგოდეხი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ყვარელი, ახმეტა, თელავი, მცხეთა, დუშეთი, ყაზბეგი, თიანეთი, ონი, ამბროლაური, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, ჩხოროწყუ, ახალციხე, ბორჯომი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ადიგენი, ცაგერი, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, წალკა, დმანისი, ხაშური, გორი, კასპი.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მსგავსად, წელსაც, პანდემიიდან გამომდინარე, ოჯახის ექიმთან დისტანციური კონსულტაციების სერვისი კვლავ აქტუალურია. 2021 წლის განმავლობაში ჯამურად განხორციელებული 208 000 კონსულტაციიდან 75% დისტანციური იყო.

საინფორმაციო მომსახურების ცენტრი

„ირაოს“ საინფორმაციო მომსახურების ცენტრი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და არსებულ თუ პოტენციურ მომხმარებლებს შესაბამის მომსახურებას უწევს.

2021 წელს, ქვეყანაში არსებული პანდემიის ფონზე, საინფორმაციო-სატელეფონო მომსახურების ცენტრსაც განსაკუთრებულ გამოწვევებთან მოუწია გამკლავება. მიმდინარე წელს დეპარტამენტის ისტორიაში დაფიქსირდა შემომავალი და ნაპასუხები ზარების რეკორდული მაჩვენებელი. მომართვიანობის გაზრდის მიუხედავად, კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, მაქსიმალურად შენარჩუნდა გამოტოვებული ზარების, შემოსული ზარების დაყოვნებისა და საუბრის საშუალო ხანგრძლივობის სტანდარტული მაჩვენებლები. 2021 წელს ცხელ ხაზზე სულ **275 502** ზარი შემოვიდა.

ჩვენი ამოცანაა პორტფელის ზრდის პარალელურად მოხდეს კმაყოფილების შენარჩუნება ან გაზრდა; პროცესების ოპტიმიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს საუბრის ხანგრძლივობის, მოცდის პერიოდსა და გამოტოვებული ზარების რაოდენობის შემცირებას, რაც აისახება კლინტთა კმაყოფილების ზრდაზე და ასევე პროცესის ოპტიმიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ანაზღაურების დეპარტამენტში პროცესების გამართულად მუშაობაზე.

ოპერატორთა გუნდის მუშაობა სტანდარტების დაცვის, კეთილგანწყობისა და ინფორმაციის ამომწურავად მიწოდების კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა. 2021 წლის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგი 98%-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

2022 წლისთვის დაგეგმილია ახალი ფუნქციონალის და საკომუნიკაციო არხის „ჩატი“-ის გააქტიურებამ, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას მისცემს დამატებით ახალი ონლაინ საკომუნიკაციო არხით მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია.



207 437

შემოსული ზარი

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

„ირაო“ მუდმივად ზრუნავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შესაბამისად ყოველწლიურად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის მკვეთრად გაუმჯობესებული მომსახურების შეთავაზებას.

მსოფლიო პანდემიამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დაზღვეულთათვის სადაზღვევო სერვისის მიწოდებაზე, ამიტომაც ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა განსაკუთრებულ გამოწვევად იქცა. წინა წლის მსგავსად 2021 წელსაც მოგვინია რთული, პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ახალი რეალობისთვის მოგვერგო კომპანიის მიერ დაგეგმილი პროექტები და მთავარ ორიენტირებად დარჩენილიყო მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება და დაზღვეულებისთვის დისტანციური სერვისების შეთავაზება.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მძიმე გამოწვევების ფონზე კომპანიამ 2021 წელს შეძლო NPS-ის (Net Promoter Score- მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი) მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა: ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით მაჩვენებელი 46%-დან 63%-მდე გაიზარდა, ხოლო ავტოდაზღვევის მიმართულებით - 63%-დან 67%-მდე.

2021 წელს დაინერგა სხვადასხვა ტიპის ციფრული და თანამედროვე მიდგომები, რაც სადაზღვევო სერვისებით სარგებლობის პროცესს მომხმარებლებისთვის უფრო მარტივსა და მოსახერხებელს ხდის:

- წლის დასაწყისში შეიქმნა „ირაოს“ მობილური აპლიკაცია, რომელიც დაზღვეულებს სთავაზობს იმავე სერვისებს, რასაც ვებ პორტალი online.iraoo.ge. მისი მეშვეობით მომხმარებელს საშუალება აქვს ნებისმიერი ლოკაციიდან მარტივად ატვირთოს მიღებული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მიიღოს შესაბამისი სამედიცინო (ამბულატორია, სტომატოლოგია) ზარალის ანაზღაურება. ასევე შესაძლებელია მოითხოვოს საგარანტიო წერილი, რომელსაც მიიღებს სასურველი ელექტრონული თუ არაელექტრონული სახით; იხილოს პოლისის დეტალები, გადაიხადოს პოლისის დავალიანება, ან გამოგზავნოს უკუკავშირი მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.
- დაინერგა დავალებების შესრულების ონლაინ პორტალის service desk-ის საშუალებით სამუშაო პროცესის მართვა. აღნიშნული პორტალის საშუალებით შესაძლებელი გახდა რამდენიმე სერვისში ჩართული დეპარტამენტის მუშაობის პროცესის სრული აღრიცხვა და მონიტორინგი. აღნიშნული სისტემა მიშვნელოვნად ამარტივებს სერვისის ადმინისტრირებას და შესაბამისი პროცესების დაჩქარებას. აღსანიშნავია, რომ პორტალის დანერგვის შემდეგ დაზღვეულები **4-ჯერ უფრო სწრაფად** იღებენ მიმართვებს სამედიცინო სერვისებზე;
- 2021 წლიდან დაზღვეულთა მომსახურება დაიწყო კორპორატიული სერვის მენეჯერების სამსახურმა და გახდა შეუცვლელი რგოლი მომხმარებელთათვის საუკეთესო სერვისის მიწოდების პროცესში; კორპორატიული სერვისის მენეჯერები ემსახურებიან ჯანმრთელობის კორპორატიული დაზღვევით მოსარგებლე თითოეულ დაზღვეულს, რომელთაც სერვისთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ მიმართონ პირად მენეჯერს;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციის თანახმად, „ირაო“ აქტიურად მონაწილეობს COVID-19-ის საეჭვო შემთხვევების და ინფიცირებული პაციენტების მართვაში. სახელმწიფოს მიერ დადგენილი გაიდლაინის მიხედვით მოხდა „ირაოს“ ოჯახის ექიმების გადამზადება და მათი ჩართვა ინფიცირებულთა მკურნალობაში. „ირაო“, ასევე აქტიურად ჩაერთო COVID-19-ის შემდგომი გართულებების მქონე დაზღვეულების მართვასა და მკურნალობაშიც;

- პირადი სივრცის პორტალზე დაემატა კოვიდის მართვის ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც დაზღვეულებს შეუძლიათ მარტივად მოითხოვონ PCR და/ან სწრაფ ანტიგენ ტესტზე, ასევე სხვა პროტოკოლით გათვალისწინებული ანალიზებზე მიმართვის მიღება, აგრეთვე მოითხოვონ ონლაინ კოვიდ კონსულტაციაზე მიმართვა;

მნიშვნელოვანია ის პროექტები და გეგმები, რომლებიც 2022 წლისთვის არის დასახული. „პირადი სივრცის“ პორტალი 2022 წელს განაგრძობს განვითარებას და ხორციელდება პროექტები შემდეგი მიმართულებით: ვებ გვერდზე კლიენტის პირადი პროფილის საშუალებით დაზღვეულისთვის ისეთი ინფორმაციის ნახვის და გადამოწმების შესაძლებლობა, როგორიცაა აქტიური და გამოყენებული მიმართვების ნახვის და გადამოწმების შესაძლებლობა, პროვაიდერების სია, არსებული ლიმიტები, და ა.შ. 2022 წელს პირადი სივრცის პორტალზე, ასევე იგეგმება ოჯახის ექიმთან კონსულტაციის ონლაინ დაჯავშნის სერვისის დამატება, ონლაინ მიმართვების მოთხოვნა და შესაბამისად ამავე სივრცეში ელექტრონული მიმართვის მიღება.

2022 წელს ასევე იგეგმება მომსახურებით კმაყოფილების გამოკითხვების სმს გზავნილების საშუალებით განხორციელება. აღნიშნული ფუნქციონალი ირაოს კმაყოფილების მართვის სამსახურს შესაძლებლობას მისცემს უფრო ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია დაზღვეულებისგან კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების შესახებ და ასევე უფრო მასშტაბური გახადოს მომხმარებლებისგან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.

სოციალური
პროექტები

„ირაოში“ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და სრულად იზიარებს „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ ტრადიციებსა და ღირებულებებს. VIG-ის ორსაუკუნოვანი კორპორაციული ისტორია დასაწყისიდანვე განმსჭვალული იყო სოციალური სულისკვეთებით, შესაბამისად, კორპორაცია მის წევრ კომპანიებსაც მოუწოდებს სოციალურ პროექტებში აქტიური ჩართულობისკენ. ჯგუფის ინიციატივით უამრავი სოციალური ღონისძიება იმართება, მათ შორის გამორჩეულია სოციალური აქტივობის დღე.

აღნიშნული პროექტი 2011 წელს დაიწყო და 2021 წელს 10 წლის იუბილე შეესრულდა. პროექტის ფარგლებში ჯგუფში გაერთიანებული ყველა კომპანიის თანამშრომლებს, შეუძლიათ ერთი სამუშაო დღე გაატარონ მოხალისეებად, კეთილი მიზნების მხარდასაჭერად. „სოციალური აქტივობის დღეს“ ევროპის 20-ზე მეტი ქვეყნის თანამშრომელი იღებს მონაწილეობას. ყოველწლიურად, ჯგუფის მასშტაბით დაახლოებით 6 000 ადამიანი ახორციელებს მოხალისეობრივ სამუშაოებს. წელს, მიუხედავად კორონავირუსული პანდემიისა, „სოციალური აქტივობის დღეს“ კვლავ გაერთიანდნენ თანამშრომლები სასიკეთო საქმეებისთვის.

2021 წელს „ირაომ“ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით ყურადღება გაამახვილა ეკოლოგიაზე და გარემოს დაცვაზე. ამისათვის განახორციელა პროექტი „დაიცავი, გადაამუშავე, გადაარჩინე!“. ეს პროექტი 2 ნაწილად გაიყო, პირველ ნაწილში ირაოს თანამშრომლებს ორგანიზაცია CENN-ის დახმარებით ჩაუტარდათ ტრენინგი გარემოსდაცვითი ცნობიერების შესახებ, რომელიც მოიცავდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის: კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა, ჭარბი მოხმარება, ნარჩენების არასწორი მართვა და ჩვენი, ადამიანების როლი აღნიშნული გამოწვევების მოგვარებაში. პროექტის მეორე ნაწილში კი ირაოს თანამშრომლებმა თავიანთი ცოდნა გაუზიარეს მომავალ თაობას. ისინი დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ესტუმრნენ და ჩაატარეს სახალისო გაკვეთილები გარემოს დაცვაზე. გაკვეთილების დასასრულს ბავშვებს გადაეცათ „ბუნების დაცვის ჩემპიონობის“



აღაზიანური
რესურსები

2021 წელი შეგვიძლია, შევაფასოთ, როგორც 2020 წლის გამოწვევების და ცვლილებების შემდეგ, ერთგვარი ადაპტაციის და შრომითი ურთიერთობების სრულიად ახალ ეტაპზე გადასვლის წელი.

თანამშრომლებისთვის დისტანციურად თუ ჰიბრიდულად მუშაობის შესაძლებლობის შექმნა, დღევანდელ დღეს სამუშაო პირობების განსაზღვრის აუცილებელ კომპონენტად იქცა. ცხოვრების ბალანსის შესანარჩუნებლად და მაქსიმალური მოქნილობისათვის 2021 წლის მანძილზეც „ირაო“ როგორც არსებულ, ასევე ახალ თანამშრომლებს, სთავაზობს არჩევანს ოფისიდან, დისტანციურ თუ ჰიბრიდულ მუშაობას შორის. სამუშაო რეჟიმი თანამშრომლის ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მაქსიმალურად მორგებული გახდა და თბილისის სათავო ოფისში მუშაობას დასაქმებულები რეგიონებიდანაც თავისუფლად ახერხებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების მიმართულებითაც დაიწყო პროცესების გაცდინება, ვიდეო სწავლებების და ონლაინ კურსების მიმართულებით. ჯამურად თანამშრომლებისთვის კომპანიის მიერ ორგანიზებული პირისპირი და ონლაინ ტრენინგების რაოდენობამ **483** ტრენინგ დღე შეადგინა, რასაც ემატება დამოუკიდებელი სწავლებისთვის შექმნილი ვიდეო ინსტრუქციები თუ კურსები.

„ირაო“ ახალ სამუშაო რეალობაშიც სტაბილურად აგრძელებს ზრდას და განვითარებას, როგორც არსებული თანამშრომლების განვითარების ხელშეწყობით, ასევე, ახალი ტალანტების მოზიდვის გზით.

2021 წლიდან ირაოს შემოუერთდა ახალი სამედიცინო დირექტორი.

ჯამურად, თანამშრომელთა რაოდენობა 2021 წელს არ შეცვლილა, თუმცა დაწინაურდა თანამშრომელთა **14%**. დაწინაურებელთაგან ერთმა უმაღლეს მენეჯმენტში გადაინაცვლა, **10%-მა** - შუა რგოლის მენეჯმენტში, **8%-მა** ქვედა რგოლის მენეჯმენტში, ხოლო **80%** - არამენეჯერულ პოზიციაზე დაწინაურდა.

ირაოს დასაქმებულთა ასაკობრივი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და 4 თაობას აერთიანებს, რაც კომპანიის მრავალფეროვნებას და განსხვავებული გამოცდილებების გაზიარების შესაძლებლობას განსაზღვრავს:

- 17% ე.წ. **Z თაობის** წარმომადგენელია;
- 66% - **მილენიალები**;
- 14% -ს **X თაობა** წარმოადგენს,
- „**Boomer**“-ების წარმომადგენლები კომპანიის 3%-ს შეადგენენ.

2021 წელს 4 თანამშრომელს შეუსრულდა კომპანიაში მუშაობის 10 წელი.
ორგანიზაციაში მუშაობის საშუალო სტაჟი არის 3,8 წელი.



„ირაოში“ მომუშავე თანამშრომლების
80% - ს შეადგენენ ქალები,
ხოლო 20%-ს – კაცები.



საშუალო რგოლის მენეჯმენტში
67% ქალია, 33% კი – კაცი.



საკანონმდებლო
ცვლილებები,
პოლიტიკები
და რეგულაციები

**2021 წელს კანონმდებლობაში შევიდა
ბარკვეული ცვლილებები,
რომლებიც აისახა კომპანიის სადარღვევო საქმიანობაზე:**

- 2021 წლის 11 თებერვალს ძალაში შევიდა „მღვწველის მიერ აქციების 10 პროცენტის ან 10 პროცენტზე მეტის უშუალო მესაკუთრისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმისა და წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს დარღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №49, რომლის თანახმადაც, სადარღვევო კომპანიებს გაუჩნდათ მათი აქციების 10 პროცენტის ან 10 პროცენტზე მეტის უშუალო მესაკუთრის და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება.
- 2021 წლის 10 ივნისს შეიძვალა საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რომლის თანახმადაც რამდენიმე სადარღვევო კომპანია განისაზღვრა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტად.
- ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებიდან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბერს ძალაში შევიდა „პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №646, რომლის თანახმადაც, „ირაო“ მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტად განისაზღვრა.
- 2021 წლის 2 აპრილს ამოქმედდა განახლებული საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, რომელიც სრულად ძალაში შევიდა 2022 წლის იანვრიდან.

ვენის სადარღვევო ჯგუფის რეგულაციების შესაბამისად, 2021 წელს კომპანიაში დაინერგა პროგრამა, რომლის საშუალებითაც ხდება კლიენტების გადამოწმება საერთაშორისო სტანდარტების რეჟიმით გათვალისწინებულ საწესიროებულ პირთა სიაში.

ძირითადი რისკები
და საბანკებო
სიფრთხილების
მართვა

კომპანიის მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის შეფასებას. კომპანიისთვის მთავარი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც მოსალოდნელს აღემატება.

სადაზღვევო კონტრაქტებისთვის რისკი წარმოიშვება საკანონმდებლო ცვლილებებით, დაზღვეულის ქცევის ცვლილებით, ბუნებრივი კატაკლიზმებით და ტერორისტული აქტებით. ჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები კი წარმოიშობა ეპიდემიების, ბუნებრივი კატაკლიზმების და ჯანდაცვის ხარჯების ზრდის შედეგად.

„ირაო“ სადაზღვევო რისკებს მართავს დამკვიდრებული სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით, რისკების გადაზღვევით, ანდერაიტინგული ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით, ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო პრინციპებითა და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით.

„ირაოში“ რისკის მართვის ორი მთავარი მეთოდი არსებობს: პირველი, რისკი იმართება შესაბამისი ანდერაიტინგული ანალიზით. ანდერაიტინგის მიერ ხდება რისკის შესაბამისი ტარიფის შეთავაზება; მეორე მეთოდი გახლავთ გადაზღვევა. კომპანია თავისი საქმიანობის სხვადასხვა სახეობისთვის ყიდულობს გადაზღვევის უზრუნველყოფას.

ჩვენი კომპანიის ანდერაიტინგული სტრატეგია მდგომარეობს შემდეგში: მოახდინოს პორტფელის დივერსიფიკაცია ისე, რომ იგი ყოველთვის შეიცავდეს სხვადასხვა სახეობის, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ რისკებს და, ამავე დროს, ყველა სახეობის რისკი გადანაწილებული იყოს პოლისების დიდ რაოდენობაზე. მენეჯმენტის რწმენით, ეს მიდგომა ამცირებს შედეგების ცვალებადობას.

ანდერაიტინგული სტრატეგია ხორციელდება სპეციალური გაიდლაინების გამოყენებით, რომლებშიც განსაზღვრულია ანდერაიტინგის დეტალური წესები თითოეული პროდუქტისთვის. გაიდლაინი შეიცავს სადაზღვევო კონცეფციას და პროცედურებს, ალბულის რისკის განმარტებებს, ვადებს და პირობებს, უფლებებს და ვალდებულებებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების შაბლონებს და პოლისების ნიმუშებს, ტარიფების შესახებ განმარტებებს და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამის ტარიფებზე. კომპანიის მენეჯმენტი გაიდლაინების მოთხოვნების შესრულებას ოპერატიულ რეჟიმში აკონტროლებს.


შესაძლებლობის შემთხვევაში, „ირაო“ იკვლევს ზარალის მიზეზებსა და ტენდენციებს, მომავალში კომპანიაზე შესაძლო მოულოდნელი ნეგატიური გავლენის შესამცირებლად. გარდა ამისა, „ირაომ“ შეზღუდა შესაძლო რისკი გარკვეულ კონტრაქტზე ზარალების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრით.

სადაზღვევო რისკის შემცირების მიზნით, „ირაო“ იყენებს გადაზღვევის პროგრამასაც. გადაზღვევის ბიზნესის დიდი ნაწილი ეფუძნება პროპორციულ და გადაზღვევის კვოტაზე/დანაკარგის ექსცედენტზე დამყარებულ პრინციპს, საკუთარ თავზე ატეხული სადაზღვევო რისკის ლიმიტები კი განსხვავებულია სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით.

იმ სადაზღვევო კონტრაქტების პირობები, რომლებსაც კონტრაქტებიდან გამომდინარე, მატერიალური გავლენა აქვთ მომავალი ფულადი ნაკადების რაოდენობაზე, ვადიანობასა და გაურკვეველ მომავალზე, განსაზღვრულია თითოეული პროდუქტისთვის ინდივიდუალურად. ეს კომპანიას მთავარი პროდუქტების და მათგან გამომდინარე რისკების მართვის შეფასების საშუალებას აძლევს.

რისკების მართვა კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. კომპანიის წინაშე არსებული ერთ-ერთი გამოწვევა ფინანსურ რისკს უკავშირდება, რომელიც მოიცავს საპროცენტო განაკვეთს, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. დეტალურად ეს რისკები ფინანსურ ანგარიშგებაშია მოცემული.

„ირაოს“ რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა; ასევე, რისკის დონეების მუდმივი მონიტორინგი და ზღვრების დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად განიხილება, პროდუქტებსა და შეთავაზებულ მომსახურებებში ცვლილებების ასახვისა და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინების მიზნით. შიდა და გარე რისკფაქტორების აღმოჩენა და მართვა „ირაოს“ ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში ხორციელდება. კომპანიის ამოცანაა ტრენინგების, მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენების გზით, ისეთი დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც ყველა თანამშრომელი აცნობიერებს თავის ფუნქციასა და ვალდებულებას.




ფინანსური მარკენაბლები

უკუგება მოზიდულ პრემიაზე


დიაგრამაზე ასახულია უკუგების მაჩვენებლის დინამიკა 2016 წლიდან 2021 წლამდე.

უკუგება მოზიდულ პრემიაზე



გაყიდვების არხები

2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, პორტფელში შემცირდა ბროკერების მეშვეობით მოზიდული პრემია 16%-დან 11%-მდე, პირდაპირი გაყიდვების წილი კი გაიზარდა 83%-დან 88%-მდე.




- ბროკერები
- პირდაპირი გაყიდვები
- სხვა

კომპანიის პორტფელი

„ირაოს“ სტრატეგია მაქსიმალურად დივერსიფიცირებული პორტფელის ქონაა, რაც მოიაზრებს კომპანიის ძირითადი პროდუქტების დაბალანსებულ განაწილებას.

პორტფელში გასულ წელთან შედარებით, მცირედით გაიზარდა ჯანმრთელობის დაზღვევის წილი – 44%-დან 48%-მდე, ავტოდაზღვევის წილი უცვლელი - 21% დარჩა, სხვა პროდუქტების წილი კი ოდნავ შემცირდა.

პორტფელის სტრუქტურა




გაცხადებული და ანაზღაურებული ზარალები

2021 წელს „ირაომ“ აანაზღაურა 541 061 ზარალი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასულ წელს ანაზღაურებულ ზარალების რაოდენობას. წლის მანძილზე კომპანიაში დაფიქსირებული ზარალების რაოდენობამ კი ჯამში შეადგინა 582 625.


ბოლო 5 წლის განმავლობაში კომპანიაში გაცხადებული და ანაზღაურებული ზარალების დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

გაცხადებული და ანაზღაურებული გარალების რაოდენობა 2017-2021




ანაზღაურებული გარალები 2021

2021 წელს ანაზღაურებული გარალების ჯამური ოდენობა 39 მილიონ ლარს აღემატება.



გარალიანობის კოეფიციენტი





www.iraod.ge

online.iraod.ge



[+995 \(32\) 2 949 949](tel:+995322949949)



office@iraod.ge